



მემორანდუმი

**საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ**

ქ. თბილისი

29 ოქტომბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113. ს/კ 424066977) წარმოდგენილი, რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს ეროვნული მუზეუმი (თბილისი, ა. ფურცელაძის ქ.№3) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით ლორთქიფანიძისსახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდროდ თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს

- ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

- გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევების პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება.

მუხლი 2.

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყონ:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში

- ა) სამეცნიერო კვლევების დაგეგმვა და განხორციელება;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;
- გ) სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა;
- დ) საჯარო ლექციების წავითხვა;
- ე) მხარეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- ვ) ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძებების განხორციელება, მხარეების მხრიდან ფინანსური ვალდებულებების აღების გარეშე.

მუხლი 3.

მემორანდუმის მიმართულებები	ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.	კონკრეტული მემორანდუმის
----------------------------	--	-------------------------

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაც საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გენერალური დირექტორი

დავით ლორთქიფანიძე



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი:

მაკა ბერიძე

